თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1711992

ნომერი: AR1275522

თარიღი : 25.12.2014

გაცემის თარიღი : 02.02.2015

გაცნობის თარიღი : 12.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი რესპუბლიკა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ძაგნიძე პ/ნ 01024005153
- იოსებიძის 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე შესასვლელის, სარეკლამო აბრისა და შენობაში პანდუსის მოწყობის საკითხს.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 29.01.15 წლის N‹/13/12/07 წერილი).

გაცნობებთ, რომ ნომენკლატურის შერჩევისას დამატებით უნდა იყოს მონიშნული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ვინაიდან შესასვლელი ეწყობა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სშესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქომების მართვის სააგენტოდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმეტაციის წარმოდგენისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში დარეგისტრირების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.